№429 2016 წლის 10 მარტი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ჯინო ველნეს გრუპისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში მდებარე 76308 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №64.30.13.021) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 500 000 (ხუთასი ათასი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს შპს „ჯინო ველნეს გრუპს“ (ს/კ 436037995).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ უძრავ ქონებაზე ან/და მის ნაწილზე შპს „ჯინო ველნეს გრუპის“ მიერ სამშენებლო ნებართვის მიღებიდან არა

უმეტეს 24 თვის, მაგრამ არა უგვიანეს ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვის ვადაში, არანაკლებ 3000 კვ.მ განაშენიანების ფართობის, ერთდროულად 500 ადამიანის მომსახურების შესაძლებლობის მქონე დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი ცენტრის (რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) დასასვენებელ და გასართობ პარკს, რესტორანს, კაფე-ბარ(ებ)ს, ღია და დახურული ტიპის აუზ(ებ)ს, ფიტნეს, გამაჯანსაღებელ ან/და სარეაბილიტაციო ზონას, კომერციულ ფართ(ებ)ს) შექმნა, მათ შორის, მშენებლობა, ექსპლუატაციაში მიღება, აღჭურვა და ფუნქციონირების დაწყება;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, არანაკლებ 4 200 000 (ოთხი მილიონ ორასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულებიდან არა უმეტეს 3 თვის ვადაში ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასასვენებელ-გამაჯანსაღებელ ცენტრში არანაკლებ 5 (ხუთი) წლის ვადით არანაკლებ 20 (ოცი) ადამიანის დასაქმება.

3. შპს „ჯინო ველნეს გრუპ“ ვალდებულია, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა – გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად, (მათ შორის, ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**